

შპს დელოიტი და ტუში

მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს
ფასს) მიხედვით მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება
2020 წლის 31 მაისით დასრულებული
წლისათვის

შპს დელოიტი და ტუში

სარჩევი

	გვერდი
ფინანსური ანგარიშგება	
მოგება-ზარალის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში.....	8
4. ძირითადი საშუალებები.....	9
5. არამატერიალური აქტივები.....	9
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
7. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.....	10
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები.....	10
9. საწესდებო კაპიტალი.....	10
10. სასესხო მოთხოვნები.....	10
11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	11
12. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	11
13. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.....	11

შპს დელოიტი და ტუში

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი		11,046,325	9,056,766
სხვა შემოსავალი		59,690	15,383
სულ შემოსავალი		11,106,015	9,072,149
ხელფასი და სხვა სარგებელი		(6,062,693)	(4,612,891)
ცვტა და ამორტიზაცია		(154,455)	(144,377)
საოპერაციო იჯარის ხარჯი		(465,058)	(434,170)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(2,570,717)	(2,142,196)
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან , წმინდა		626,378	265,632
მოგება მოგების გადასახადამდე		2,479,470	2,004,147
მოგების გადასახადი		-	(14,679)
წლის მოგება		2,479,470	1,989,468

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი თაგართქილაძე
დირექტორი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო

თამარ შადშვილი
მთავარი ბუღალტერი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო

5-11 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნები	31 მაისი 2020	31 მაისი 2019	1 ივნისი 2018
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	4	216,989	359,310	282,162
არამატერიალური აქტივები	5	6,197	11,155	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>223,186</u>	<u>370,465</u>	<u>282,162</u>
მიმდინარე აქტივები:				
წინასწარ გადახდილი გადასახადები		88,040	28,865	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	906,004	60,377	192,918
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	10	1,694,558	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა მარაგები	8	1,794,307	4,178,397	3,079,188
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,445	1,398	2,087
სულ მიმდინარე აქტივები		<u>3,610,869</u>	<u>2,023,779</u>	<u>1,281,189</u>
სულ აქტივები		<u>8,318,409</u>	<u>6,663,281</u>	<u>4,837,544</u>
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი:	9			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		7,027,944	4,548,474	2,559,006
სულ კაპიტალი		<u>7,029,944</u>	<u>4,550,474</u>	<u>2,561,006</u>
მიმდინარე ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	637,111	1,344,875	1,546,223
მიღებული ავანსები		2,173	51,601	267,067
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	39,896
მოკლევადიანი ვალდებულებები		649,181	716,331	423,352
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>1,288,465</u>	<u>2,112,807</u>	<u>2,276,538</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>8,318,409</u>	<u>6,663,281</u>	<u>4,837,544</u>

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი თაგარტქილაძე
დირექტორი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო

თამარ შალაშვილი
მთავარი ბუღალტერი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო


5-11 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
01 ივნისი 2018	2000	2,559,006	2,561,006
სულ წლის სრული მოგება 31 მაისი 2019	2000	1,989,468 4,548,474	1,989,468 4,550,474
სულ წლის სრული მოგება 31 მაისი 2020	2000	2,479,470 7,027,944	2,479,470 7,029,944

ხელმძღვანელების სახელით:


გიორგი მთავართყილაძე
დირექტორი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო


თამაზ მთავარი
მთავარი ბუღალტერი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო

5-11 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნები	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადამდე	2,479,470	2,004,147
არაფულადი მოგების და ხარჯების კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	154,455	144,377
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საექვო ვალების ხარჯი	266,039	253,720
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	(626,378)	(265,632)
სხვა არაფულადი ვალდებულების შემოსავალი/ხარჯი	(70,422)	293,528
საპროცენტო შემოსავალი	(45,192)	-
	2,157,972	2,430,140
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		
(ზრდა) / შემცირება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	(47)	689
შემცირება / (ზრდა) / სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,442,504	(1,105,197)
(ზრდა) / შემცირება მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებში	(845,627)	132,541
(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(788,379)	(368,407)
(ზრდა) წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(59,175)	(28,865)
(შემცირება) საგადასახდო ვალდებულებებში		(39,896)
(შემცირება) მიღებულ ავანსებში	(47,022)	(215,466)
მოგების გადასახადი	-	(14,679)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებების შემდეგ	2,860,226	790,860
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	2,860,226	790,860
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(7,177)	(232,612)
გაცემული სესხი	(1,510,288)	-
სესხის საპროცენტო შემოსავალი	3,589	-
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	(1,513,876)	(232,612)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)	1,346,350	558,248
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	240,740	184,342
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,023,779	1,281,189
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,610,869	2,023,779

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი თაყაიშვილი
დირექტორი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო

თაყაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

26 თებერვალი 2021
თბილისი, საქართველო

5-11 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „დელოიტი და ტუში“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2001 წლის 02 თებერვალს საქართველოში ქ. თბილისში და მას მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 204422240. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, საგადასახადო, ფინანსური საკონსულტაციო, იურიდიულ მომსახურებები.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, მერაბ ალექსიძის 12ა ბიზნეს ცენტრი „King David“

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პერიოდი არის 1 ივნისიდან 31 მაისამდე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებების და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში მენეჯმენტის მხრიდან შეფასებების გაკეთებას. ის ასპექტები, რომლებიც შეფასების მაღალი ხარისხითა თუ სირთულით გამოირჩევა, ასევე, ის ასპექტები, რომელთა შემთხვევაშიც დაშვებები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია განმარტებულია შენიშვნა # 3.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში მოქმედი ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს (შემდგომში „ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს მოქმედი კურსით. ასეთ ოპერაციებზე განხორციელებული ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად გამოწვეული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი სავალუტო კურსი ასეთია: 1 ევრო = 3.5366 ლარი (2019 წელს: 1 ევრო = 3.1209 ლარი); 1 აშშ დოლარი = 3.1761 ლარი (2019 წელს: 1 აშშ დოლარი = 2.8023 ლარი). 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი = 3.9161 (2019 წელი 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი = 3.5390). ამჟამად, ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას არ წარმოადგენს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალდებულო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

ისეთი ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არ არის შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივები (ანუ ის აქტივები, რომელთა საკრედიტო რეიტინგი ხარვეზიანია საწყისი აღიარებისას), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

განაკვეთის განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტზე კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებითა და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით, საწყისი აღიარებისას სავალ ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე ანგარიშებზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO მეთოდით (რომლის საფუძველზეც მარგებში პირველი შემოსული, პირველი გავა).

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი მაშინ იქმნება, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად გადასახდელი თანხების ამოღებას.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. რეალური ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია აქტივის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და ხელმძღვანელობისთვის სასურველ სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით.
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

ავეჯი, საოფისე და კომუნიკაციის აღჭურვილობა	5 წელი
კომპიუტერული აღჭურვილობა	3 წელი
სატრანსპორტო საშუალება	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადახედვა და საჭიროებისამებრ სათანადოდ კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მითითება ბოლო საანგარიშო თარიღის შემდეგ განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას ან ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე მინიშნება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე ტესტირებას გაივლის. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რა სიდიდითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ცვეთას დაქვემდებარებული არა ფინანსური აქტივები, „გუდვილის“ გარდა, გადაიხედება გაუფასურების შესაძლო გაუქმების მიზნით, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებები მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

შემოსავლი პროფესიული მომსახურებიდან და მისი აღიარება. შემოსავალი მოიცავს ანაზღაურების იმ ოდენობას, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს კლიენტისათვის შეპირებული მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეთა სახელით მიღებული თანხების (მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადების); გარეშე.

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მხარეები გააფორმებენ კონტრაქტს და იკისრებენ თავთავისი ვალდებულებების შესრულებას; კომპანიას შეუძლია განსაზღვროს თითოეული მხარის უფლებები და გადასაცემი მომსახურებების ანაზღაურების პირობები; კონტრაქტს გააჩნია კომერციული შინაარსი. სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს იმ ანაზღაურებას, რისი მოთხოვნის უფლებაც მას აქვს კლიენტისათვის გადასაცემი მომსახურებების სანაცვლოდ და როდესაც მასა და კლიენტებს შორის არსებულ თითოეულ კონტრაქტზე დაკმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები.

შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის პროპორციულად კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე ფაქტიურად გახარჯული დროის გათვალისწინებით. შემოსავლის თავდაპირველი აღიარება ხდება კონტრაქტის შესაბამისად გაკეთებული ბიუჯეტის თანახმად რომლის კორექტირებაც ხდება პერიოდულად.

შემოსავლის, ხარჯებისა და დასრულების ეტაპის წინასწარი შეფასება გადაიხედება გარემოებათა ცვლილების შემთხვევაში. ნებისმიერი ზრდა ან კლება არსებულ შეფასებაში აისახება იმ პერიოდის

მოგება-ზარალისა ანგარიშგებაში, რომელშიც მენეჯმენტისთვის ცნობილი გახდება ამ კორექტირების გამომწვევ გარემოებათა თაობაზე.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დროითი პროპორციის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიღებული ავანსები. მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტისათვის გასაწევი მომსახურებისათვის წინასწარ მიღებულ თანხებს და აღირიცხება თვითღირებულებით რომლის შემოსავალში აღიარებაც ხდება მომსახურების გაწევის პროპორციულად.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისათვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ყველა საწარმოსათვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელით გაუნაწილებელი მოგება ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, განაწილებული კი - 15%-იანი განაკვეთით. წინა მოდელით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მისი განაწილების სტატუსის მიუხედავად.

მოგების დაბეგვრის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც კომპანიაზეც ვრცელდება. დასაბეგრი ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ასეთად ჩათვლილ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- ისეთი გაწეული ხარჯები თუ სხვა გადახდები, რაც არ არის კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასოდ მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და

შპს დელოიტი და ტუმი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

- წარმოდგენილი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები ფასდება იმ ოდენობით, რომლის მიღებას ან გადახდასაც კომპანია ვარაუდობს საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან.

განაწილებული მოგების გარდა სხვა ერთეულებზე დარიცხული გადასახადი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში „სხვა საოპერაციო ხარჯები“.

დაბეგვრის მოდელის ცვლილების გამო, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ ეკონომიკურ შინაარსს კარგავს და ბასს-ის მე -12 სტანდარტით განსაზღვრული გადავადებული

საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალ კორპორაციულ საგადასახადო მოდელში არსებობას წყვეტს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის მომსახურების მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ-ს ჩათვლა ხდება დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანო დაშვებულად ცნობს დღგ-ს ვალდებულების დაფარვას ჩასათვლელ დღგ-სთან გადაქცევის პრინციპით. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით, დღგ-ის ჩათვლით.

მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები. გაცემული სესხი ანგარიშგებაში მიმდინარედ არის ასახული საკონტრაქტო პირობების საფუძველზე. სესხი გაცემულია აშშ დოლარში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებით ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ცალკეულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ გარემოებებში მიიჩნევა გონივრულად. ვარაუდების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს შეფასებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. შეფასებები, რომლებიც ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომავალ ფინანსურ წელს, არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, მსგავს აქტივთან მიმართებაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში ცვლილებამ შეიძლება სამომავლო გაუფასურების მაჩვენებლების კორექტირება გამოიწვიოს.

გადასახადის აღიარება. საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვან ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული, რაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს საგადასახადო ორგანოებმა. კომპანიის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციებს მენეჯმენტი ყოველ საანგარიშგებო თარიღში აფასებს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებზე, რომელთა შენარჩუნება, მენეჯმენტის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა იმ

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

შემთხვევაში, თუ ეს პოზიციები საგადასახადო ორგანომ ეჭვქვეშ დააყენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და მოგებისგან განსხვავებული გადასახადების ვალდებულებები აღიარდება მენეჯმენტის ვარაუდის საფუძველზე, თუ რა ოდენობის ხარჯი იქნება საჭირო საანგარიშგებო დღეს ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები შეფასებულისგან შეიძლება განსხვავდებოდეს

4. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალება	სულ
თვითღირებულება 2018 წლის 1 ივნისი	310,025	197,485	44,369	551,879
შემოსვლები	179,828	37,908	-	217,736
გასვლები	(10,447)	-	-	(10,447)
თვითღირებულება 2019 წლის 31 მაისს	479,406	235,393	44,369	759,168
შემოსვლები	881	6,296	-	7,177
თვითღირებულება 2020 წლის 31 მაისს	480,287	241,689	44,369	766,345
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 1 ივნისის	107,723	117,625	44,369	269,717
წლის დარიცხვა	90,905	49,754	-	140,659
გასვლა	(10,518)	-	-	(10,518)
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 მაისს	188,110	167,379	44,369	399,858
წლის დარიცხვა	107,289	42,208	-	149,497
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 მაისს	295,399	209,587	44,369	549,356
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 ივნისის	202,302	79,860	-	282,162
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 მაისს	291,296	68,014	-	359,310
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 მაისს	184,887	32,102	-	216,989

5. არამატერიალური აქტივები.

	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება 2018 წლის 1 ივნისი	31,986
შემოსვლები	14,873
თვითღირებულება 2019 წლის 31 მაისს	46,859
თვითღირებულება 2020 წლის 31 მაისს	46,859
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 1 ივნისის	31,986
წლის დარიცხვა	3,718
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 მაისს	35,704
წლის დარიცხვა	4,958
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 მაისს	40,662
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 ივნისის	-
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 მაისს	11,155
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 მაისს	6,197

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

	31 მაისი 2020	31 მაისი 2019	01 ივნისი 2018
საბანკო ანგარიშები			
ლარში დენომინირებული	267,957	200,878	675,979
აშშ დოლარში დენომინირებული	2,847,841	1,767,985	456,019
ევროში დენომინირებული	363,891	34,433	129,750
გირვანქა სტერლინგში დენომინირებული	88,558	16,603	13,613
ფული სალაროში	42,622	3,880	5,828
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	3,610,869	2,023,779	1,281,189

7. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდილ თანხებს პროფესიული მომსახურებისთვის, ოფისის იჯარას, საწევროებს, სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკას, დაზღვევას.

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

	31 მაისი 2020	31 მაისი 2019	01 ივნისი 2018
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	2,314,066	4,432,117	3,079,188
მინუს - გაუფასურების რეზერვი	519,759	253,720	-
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება, ნეტო	1,794,307	4,178,397	3,079,188

9. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 მაისისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენ 2,000 ლარს.

10. სასესხო მოთხოვნები

	საპროცენტო განაკვეთი	31 მაისი 2020	01 ივნისი 2018
გაცემული მოკლევადიანი სესხი აშშ დოლარში დენომინირებული	6.25%	1,651,572	-
დარიცხული პროცენტი		42,986	
სულ გაცემული მოკლევადიანი სესხი	6.25%	1,694,558	-

შპს დელოიტი და ტუმი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 მაისი 2020	31 მაისი 2019	01 ივნისი 2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5,369	2,328	59,308
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
დელოიტის წევრი ფირმების მიმართ	631,742	1,341,690	1,486,915
გადასახდელი ხელფასები		857	
მიღებული ავანსები	2,173	51,601	267,067
საგადასახდო ვალდებულებები			39,896
სხვა მოკლევადიანი დარიცხული ვალდებულებები	649,181	716,331	423,352
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,288,465	2,112,807	2,276,538

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
პროფესიული მომსახურება	1,414,416	1,268,620
უიმედო ვალების ხარჯები	266,039	253,720
საგადასახდო ხარჯი	322,590	12,771
პროფესიული განათლების ხარჯები	129,341	123,967
პროფესიული დაზღვევის ხარჯები	138,825	95,848
კომუნიკაციის ხარჯები	39,394	41,861
მივლინების ხარჯები	37,095	34,479
ოფისის და დასუფთავების ხარჯები	37,500	32,684
თანამშრომლების შეხვედრებისა და გართობის ხარჯები	41,353	40,631
IT ხარჯები	15,017	19,658
მარკეტინგის ხარჯები	18,006	22,545
საწვავის ხარჯი	21,306	15,337
საწევრო ხარჯები	14,658	18,256
დაქირავების ხარჯები	9,707	15,573
სხვა ხარჯები	65,470	146,246
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	2,570,717	2,142,196

13. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომლის აღრიცხვაც აუცილებელია კომპანიის 2020 წლის 31 მაისის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ან რომელიც გამოიწვევს კორექტირებებს იგივე ფინანსურ ანგარიშგებაში.